## ჰენდაუთი 2.2: სამუშაო ფურცელი ძალადობრივი ექსტრემიზმის ადგილობრივი მამოძრავებელი ფაქტორების შესახებ

დაყავით მონაწილეები სამ ან ოთხკაციან ჯგუფებად. განიხილეთ ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები თქვენს რეგიონში, დისკუსიის წარმართვის მიზნით ქვემოთ მითითებული საორიენტაციო შეკითხვების გამოყენებით.

| | |
|---|---|
| **დაასახელეთ შესაბამისი განმზიდველი ფაქტორები თქვენს გარემოში.**<br>**საორიენტაციო შეკითხვა:**<br>*რა არის უკმაყოფილების და დაძაბულობის წყაროები?* | |
| **დაასახელეთ შესაბამისი ჯგუფური დინამიკა და ურთიერთობები, რომლებიც იწვევს ძალადობრივ ექსტრემიზმს თქვენს გარემოში.**<br>**საორიენტაციო შეკითხვები:**<br>*როგორ ხდება იდენტიფიცირებული განმზიდველი ფაქტორების განხილვა და გადაწყვეტა?*<br>*როგორ წარმოადგენენ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილები საკუთარ როლს, აგრეთვე საზოგადოების სხვა წევრების როლებსა და სახელმწიფოს როლს (მაგალითად, როგორც პრობლემების მიზეზებს ან თუნდაც მტრებს)?*<br>*არის თუ არა საზოგადოების ფარგლებში არსებული ურთიერთობები ჯანსაღი ან დარღვეული?*<br>*როგორ აყალიბებს სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური დარწმუნების სისტემები ამ საკითხების შესახებ ადგილობრივ აზრს ან რა გავლენას ახდენს მასზე?* | |
| **დაასახელეთ შესაბამისი მიმზიდველი ფაქტორები თქვენს გარემოში.**<br>**საორიენტაციო შეკითხვები:**<br>*როგორ ქმნიან ან ამახინჯებენ ადგილობრივი ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები ინფორმაციას, ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას ადგილობრივი კონფლიქტების შესახებ იმისათვის, რომ მოარგონ ისინი საკუთარ გეგმებს და ინტერესებს და მოიზიდონ პოტენციური ახალწვეულები?*<br>*რომელია ის მიზეზები, რომელთა გამოც ცალკეული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი მზადაა ჩაიდინოს ძალადობა პრობლემებიდან გამომდინარე?*<br>*რომელია ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების რეალური ან წარმოსახვითი უპირატესობები, რომლებიც იზიდავს პოტენციურ ახალწვეულებს?*<br>*რატომ უერთდება ადამიანი ძალადობრივი ექსტრემისტების კონკრეტულ ჯგუფს და არა* | |

| | |
|---|---|
| სხვა ჯგუფს? | |